



დამოუკიდებელი ინსპექტორის
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ქ. თბილისი

2020 წლის 19 ოქტომბერი

დისციპლინური საქმე №59/19
მოსამართლე --- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ

-- -- 2019 წლის 27 მარტის №-- საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 75⁶ მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე --- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძველიანობის წინასწარი შემოწმება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 12 აპრილის №180/59-03 წერილით, მოსამართლეს ეცნობა მის მიმართ საჩივრის შემოსვლისა და დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დასკვნა მომზადდა 2019 წლის 27 მაისს.

1. საჩივრის ავტორის მიერ მითითებული გარემოებები:

საჩივრის ავტორი მოსამართლის მიერ 2019 წლის 7 მარტს მიღებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების კანონიერებას ხდის სადავოდ. კერძოდ, მან 2019 წლის 6 მარტს სასამართლოს განცხადებით აცნობა, რომ სხდომის დღეს 15:00 საათზე სხვა საქმეზე ჰქონდა სხდომა ჩანიშნული და სხდომის გადადება ითხოვა. საჩივრის ავტორის განცხადებით, მოცემულ საქმეზე მოპასუხედ გამოდიოდა ---, რომელსაც წარდგენილი ჰქონდა განცხადება, რომ სასამართლოს საქმე მისი დასწრების გარეშე განეხილა და ასევე, მისი მეუღლე ---, რომელიც სასჯელს იხდის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში და 2019 წლის 7 მარტს 15:00 საათზე იყო უზრუნველყოფილი მისი გადაყვანა სასამართლო პროცესზე. საჩივრის ავტორის განმარტებით, მოსამართლემ მიუხედავად აღნიშნული ფაქტებისა, გამოიტანა დაუსწრებელი გადაწყვეტილება, სადაც აღნიშნა, რომ სხდომაზე მოპასუხეები არ გამოცხადდნენ და არც გამოუცხადებლობის მიზეზების შესახებ უცნობებით სასამართლოსთვის.

საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ საკატიმრო მოსაცდელში შემთხვევით შეხვდა ---, რომლისგანაც შეიტყო რომ იგი ესწრებოდა მოსამართლე --- სასამართლო სხდომას და აღნიშნული სხდომა მოსამართლემ გადადო.

2. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

2019 წლის 16 იანვარს -- -- სარჩელით მიმართა -- -- სასამართლოს, მოპასუხეების -- --, -- -- და -- -- მიმართ, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით.

2019 წლის 7 თებერვალს -- -- სასამართლოში წარადგინა შესაგებელი.

2018 წლის 14 თებერვლის განჩინებით ჩაინიშნა მოსამზადებელი სხდომა 2018 წლის 19 თებერვალს.

2019 წლის 15 თებერვალს -- -- განცხადებით მიმართა სასამართლოს, რომ უარს აცხადებდა სასამართლო პროცესში მონაწილეობაზე და მის ინტერესებს მისი ადვოკატი დაიცავდა.

2019 წლის 6 მარტს -- -- განცხადებით მიმართა სასამართლოს 2019 წლის 7 მარტს ჩაინიშნული სასამართლო სხდომის გადადების თაობაზე. 2019 წლის 7 მარტს გაიმართა სასამართლო მოსამზადებელი სხდომა.

2019 წლის 7 მარტის განჩინებით -- -- განცხადება დაკმაყოფილდა; -- -- სარჩელი მოპასუხეების -- --, -- -- - და -- -- მიმართ, ზიანის ანაზღაურების თაობაზე, -- ევროსა და -- ლარის დაკისრების ნაწილში, მისი გამომხმობის გამო, დარჩა განუხილველი.

2019 წლის 7 მარტის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით -- -- სარჩელი -- --, -- -- და -- -- მიმართ დაკმაყოფილდა; -- --, -- -- და -- -- -- -- სასარგებლოდ დაეკისრა -- ლარისა და -- ევროს გადახდა.

2019 წლის 28 მარტის განჩინებით -- -- საჩივარი მიღებულ იქნა განსახილველად; საჩივრის განხილვა დაინიშნა 2019 წლის 12 მაისს. 2019 წლის 29 მარტს -- -- საჩივარი წარადგინა სასამართლოში 2019 წლის 7 მარტის დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებასთან დაკავშირებით. 2019 წლის 21 მაისს გამართულ სასამართლო სხდომაზე -- -- და -- -- საჩივარი სასამართლოს 2019 წლის 7 მარტის დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების თაობაზე დაკმაყოფილდა.

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის დასკვნა:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-2 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს (2020 წლის 1 იანვრამდე მოქმედი რედაქცია). იმისათვის, რომ დადგინდეს ჰქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევაფასოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, არავის არ აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე. ამასთან, ამავე ორგანული კანონის 75¹⁰ მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა.

ამდენად, არსებული ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება შესაძლებელია მხოლოდ იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად მოქმედებდა მოსამართლე არსებული კანონმდებლობის ფარგლებში.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 230-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით თუ სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადდება მოპასუხე, რომელსაც გაეგზავნა შეტყობინება ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით, და მოსარჩელე შუამდგომლობს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანაზე, მაშინ სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები დამტკიცებულად ითვლება. ამავე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, თუ სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას, სარჩელი დაკმაყოფილდება. წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო უარს ეტყვის მოსარჩელეს მის დაკმაყოფილებაზე.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით მხარეს ან მის წარმომადგენელს სასამართლო უწყებით ეცნობება სასამართლო სხდომის ან ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულების დრო და ადგილი. უწყება მხარისათვის და მისი წარმომადგენლისათვის ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ იგი ჩაჰბარდება ერთ-ერთ მათგანს ან ამ კოდექსის 74-ე მუხლით გათვალისწინებულ სუბიექტებს, ხოლო ჩაბარების განსხვავებულ გონივრულ წესზე მხარეთა შეთანხმების არსებობის შემთხვევაში - ამ შეთანხმებით გათვალისწინებული წესით. წარმომადგენელი ვალდებულია უწყების ჩაბარების შესახებ აცნობოს მხარეს. ამავე მუხლის მესამე ნაწილის მიხედვით მხარეები, მათი წარმომადგენლები, აგრეთვე მოწმეები, ექსპერტები, სპეციალისტები და თარჯიმნები შეიძლება დაიბარონ ტელეფონით, ფაქსით, სხვა ტექნიკური საშუალებით ან მხარეთა შეთანხმებით გათვალისწინებული ჩაბარების განსხვავებული წესით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 216-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საქმის განხილვის გადადება დასაშვებია მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, გონივრული ვადით. თუ საქმის სრულყოფილად გამოკვლევა და დამთავრება შეუძლებელია იმავე სხდომაზე, განხილვა მისი გადადების შემთხვევებში გრძელდება იმ სტადიიდან, რომელზედაც იგი გადაიდო. სასამართლო აგრეთვე უფლებამოსილია, საქმის განხილვა გააგრძელოს იმ სტადიიდან, რომელსაც მიზანშეწონილად მიიჩნევს. ამავე კოდექსის 215-ე მუხლის შესაბამისად, მოპასუხე ვალდებულია, სასამართლოს აცნობოს გამოუცხადებლობის მიზეზების შესახებ; საპატიო მიზეზად ჩაითვლება მხარის მიერ შუამდგომლობისა და განცხადების წარდგენის შეუძლებლობა, რაც გამოწვეულია ავადმყოფობით, ახლო ნათესავის გარდაცვალებით ან სხვა განსაკუთრებული ობიექტური გარემოებით, რომელიც მისგან დამოუკიდებელი მიზეზით შეუძლებელს ხდის სასამართლო პროცესზე გამოცხადებას ან/და შუამდგომლობისა და განცხადების წარდგენას. ავადმყოფობა დადასტურებულ უნდა იქნეს სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტით, რომელიც პირდაპირ მიუთითებს სასამართლო პროცესზე გამოცხადების შეუძლებლობაზე.

მოცემულ შემთხვევაში, საქმის მასალებით დადგენილია, რომ მოპასუხეებს კანონით დადგენილი წესით გაეგზავნათ შეტყობინება სასამართლო სხდომის შესახებ. ასევე, დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის არქივიდან გამოთხოვილი სხდომის ოქმის ვიდეოჩანაწერის გაცნობის შედეგად დადგინდა, რომ სასამართლო სხდომაზე გამოცხადდა მხოლოდ მოსარჩელე მხარე. ამასთან, განცხადება სხდომის გადადების თაობაზე არასრული დოკუმენტაციით არის წარდგენილი, არ ერთვის გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზის დამადასტურებელი საბუთი. შესაბამისად, საქმეში არსებული მასალები მოსამართლეს აძლევდა უფლებამოსილებას სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 230-ე მუხლის შესაბამისად მიეღო დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

ამდენად, მოსამართლე დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებისას მოქმედებდა მისთვის საპროცესო კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორი არ არის უფლებამოსილი იმსჯელოს მოსამართლის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების კანონიერებაზე.

4. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად შეიძლება მიჩნეულ იქნეს მხოლოდ ისეთი ქმედება, რომელიც „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-8 პუნქტშია მოცემული.

საქართველოს კონსტიტუციის 59-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, საქართველოში მართლმსაჯულებას საერთო სასამართლოები ახორციელებენ. მართლმსაჯულების განხორციელება, თავისთავად, გადაწყვეტილებათა გამოტანასაც გულისხმობს. მხარეთა მოთხოვნების მართებულობასა და კანონიერებას სასამართლო წყვეტს და მხარე რომ სასამართლოს გადაწყვეტილებას არ ეთანხმება არ ნიშნავს რომ გადაწყვეტილება არაკანონიერია.

მართლმსაჯულების განხორციელების უფლებამოსილება აქვს მხოლოდ მოსამართლეს კანონით დადგენილი წესით, ხოლო მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გადასინჯვის უფლებამოსილება ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს კომპეტენციას წარმოადგენს.

„მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ შეიძლება იყოს გადასინჯვის საგანი, გარდა გასაჩივრების ტრადიციული პროცედურისა“ (ალექსანდრე ვოლკოვი უკრაინის წინააღმდეგ §80). დისციპლინური სამართალწარმოების ჭრილში, დამოუკიდებელი ინსპექტორი ვერ იმსჯელებს მოსამართლის მიერ მიღებული განჩინება/გადაწყვეტილების კანონიერებაზე, ვინაიდან დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური არ წარმოადგენს სასამართლოს ზემდგომ ინსტანციას, რომელსაც შეუძლია გააუქმოს/შეცვალოს გადაწყვეტილება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 27 მაისის დასკვნით დადგინდა, რომ -- -- საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ შეიცავს მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნებს.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორი იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ საჩივარი ეხება მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტის კანონიერებას (2020 წლის 1 იანვრიდან მოქმედი რედაქცია).

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დამოუკიდებელმა ინსპექტორმა იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹⁰ მუხლის მე-5 პუნქტით, 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

-- -- №-- საჩივარზე შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება მოსამართლე -- -- მიმართ.

ზურაბ აზნაურაშვილი
დამოუკიდებელი ინსპექტორი